# საექსპერტო დასკვნა

## ქ. თბილისში, დავით გურამიშვილის გამზ. №188 -ში, შ.პ.ს. „ნამი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი № 01.12.01.003.134) დაპროექტებული „მინის საამქროს საწყობი“-ს სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შენობების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

ქ. თბილისი 2019 წლის 22 ოქტომბერი

შ.პ.ს. „ნამი“-ს (205086164) დაკვეთით შესწავლილ იქნა ქ. თბილისში, დავით გურამიშვილის გამზ. №188ა-ში, შ.პ.ს. „ნამი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი № 01.12.01.003.134) დაპროექტებული „მინის საამქროს საწყობი“-ს ახალი შენობის მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში, სამეზობლო მიჯნაზე არსებული შენობების კონსტრუქციულ ელემენტებზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებისა და შენობის შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით. ხალი მშენებლობისთვის განკუთვნილი ტერიტორია მდებარეობს შ.პ.ს. „ნამი“-ს საკუთრებაში არსებული ნაკვეთის სამხრეთ ნაწილში და შესაბამისად დაპროექტებულ შენობას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება შ.პ.ს. „ნამი“-ს ტერიტორია და მასზე განთავსებული შენობები. აღმოსავლეთიდან ტერიტორიას ესაზღვრება შ.პ.ს. „ნოვა“-ს საკუთრებაში არსებული ტერიტორია (ნაკვეთის საკადასტრო კოდი № 01.12.01.003.230), რომელიც წითელი ხაზის გასწვრივ თავისუფალია შენობებისგან. დასავლეთიდან ტერიტორიას ესაზღვრება დავით გურამიშვილის გამზირის გრუნტის გზის მონაკვეთი, რომელიც მდებარეობა წითელ ხაზსა და ცენტრალურ სარკინიგზო ხაზს შორის (მანძილი წითელ ხაზსა და სარკინიგზო ხაზის უახლეს ლიანდაგს შორის 14,0 მ-ია. ხოლო წითელი ხაზიდან დაპროექტებული შენობის კედელი დაშორებულია 3,58 მ-ით). სამხრეთიდან საპროექტო შენობას ესაზღვრება მოქ. ნინო ოდიშვილის (პ/ნ: 010200114379) საკუთრებაში არსებული ტერიტორია (ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის გამზ. №74-ში, მიწის საკადასტრო კოდი № 01.12.01.003.018) და უშუალოდ სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შენობები [შენობა (1) საკადასტრო გეგმის მიხედვით და მის დასავლეთით მდებარე დაურეგისტრირებელი შენობა].

საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის მიხედვით (შესრულებულია შ.პ.ს. „გენგეო“-ს ინჟინერ-გეოლოგ დ. შანიძის მიერ), რომელიც ჩატარდა მოქ. ნინო ოდიშვილის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე დამატებით, მომიჯნავე შენობების საძირკვლების გაბარიტული ზომებისა და გრუნტული პირობების დასადგენად. მომიჯნავე შენობების საძირკვლების ფუძეს წარმოადგენს მყარადპლასტიკური კონსისტენციის მუქი ყავისფერი თიხა. საინჟინრო-გეოლოგიურ ანგარიშის მიხედვით სამეზობლო მიჯნაზე მდებარე №(1) შენობას საძირკვლები არ გააჩნია, კარკასი მოწყობილია გრუნტზე დაფიქსირებულ ლითონის შველერებისგან შეკრულ ჩარჩოზე, ხოლო რაც შეეხება დაურეგისტრირებელ შენობას, მისი საძირკვლების ტიპი ლენტურია, შესრულებულია რკინაბეტონის ბლოკების წყობით. საძირკვლების ჩაღრმავება რელიეფის ზედაპირიდან 500 მმ-ია, ხოლო სიგანე 200 მმ. ორთავე შენობა

ხასიათდება ერთნაირი საანგარიშო სქემით: ლითონის მსუბუქი ინდივიდუალური კარკასითა (კუსტარულად) და ლითონის შემომზღუდავი ელემენტებით (ლითონის პროფფენილით). სახურავის ბურულად გამოყენებულია ლითონის პროფფენილი. №(1) შენობის კარკასის მზიდ ელემენტებს წარმოადგენს ლითონის ნაგლინი კუთხოვანები, ხოლო დაურეგისტრირებული შენობის კარკასის მზიდი ელემენტები შესრულებულია Ø150 მმ. დიამეტრის ლითონის მილებისაგან. არსებულ შენობებსა და დაპროექტებულ შენობის კედლებს შორის მინიმალური მანზილი „ა“ ღერძთან 1,06 მ-ია, ხილო „ი“ ღერძთან კი 1,08 მ. რსებული შენობები ვიზუალურად ნორმალურ მდგომარეობაშია და მის ხილულ ზედაპირებზე რაიმე სახის დაზიანებისა თუ დეფორმაციის კვალი არ შეინიშნება.

გამოკვლევისდროინდელი მდგომარეობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქ. თბილისში, დავით გურამიშვილის გამზ. №188ა-ში, შ.პ.ს. „ნამი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი № 01.12.01.003.134) დაპროექტებული „მინის საამქროს საწყობი“-ს ახალი შენობის მშენებლობის დროს დაცული იქნება ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის გამზ. №74-ში, (მიწის საკადასტრო კოდი № 01.12.01.003.018) სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შენობების [შენობა (1) საკადასტრო გეგმის მიხედვით და მის დასავლეთით მდებარე დაურეგისტრირებელი შენობა] კონსტრუქციული ელემენტების მზიდუნარიანობა და მდგრადობა და შესაძლებელი იქნება მათი უსაფრთხო ექსპლოატაცია ახალი მშენებლობის მიმდინარეობისა და დასრულების შემდეგაც.

შ.პ.ს. „ბალავერი“-ს დირექტორი მ. გეგია

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი თ. გეგეჭკორი